საქართველოს კანონი

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, №12, 1984 წელი, მუხ. 421) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. 209^3 მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. ამ კოდექსის 55^5, 77^1, 77^2 და 103-ე მუხლებით, 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 135-ე–135^4 მუხლებით, 148-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით, 150^2 და 150^3 მუხლებით, 151-ე მუხლის მე-3 ნაწილით და 151^1, 151^2, 152^3, 153^9, 158^3 და 158^4 მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ჩადენისას მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს შესაბამისი სამსახური ან მის მიერ უფლებამოსილი პირი, თუ სამართალდამრღვევის იდენტიფიცირებისათვის ან სხვა ფაქტობრივი გარემოებების დადგენისათვის ადმინისტრაციული წარმოება საჭირო არ არის, ადგილზე განიხილავს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეს და სამართალდამრღვევს ადგილზევე შეუფარდებს ადმინისტრაციულ სახდელს (ჯარიმას).

4. ამ კოდექსის 55^5, 77^1, 77^2, 103-ე და 107^4 მუხლებით, 114^2 მუხლის მე-6 ნაწილით, 125-ე მუხლის მე-8 ნაწილით, 125^2 მუხლით, 125^3 მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილებით, 125^4 მუხლით, 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 135-ე–135^4 და 146^1 მუხლებით, 148-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით, 150^2 და 150^3 მუხლებით, 151-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 151^1, 151^2 და 152^3 მუხლებით, 153^6 მუხლის პირველი, მე-3 და მე-4 ნაწილებით და 153^9, 158^3 და 158^4 მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისათვის შეფარდებული ადმინისტრაციული სახდელის (ჯარიმის) ზემდგომ ორგანოში (თანამდებობის პირთან) გასაჩივრებისას საჩივარს იხილავს და გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს შესაბამისი სამსახური.“.

2. 239-ე მუხლის 27-ე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„27. ამ კოდექსის 55^5, 77^1, 77^2, 107^2 და 107^3 მუხლებით, 125-ე მუხლის მე-8 ნაწილით, 125^2–125^4 მუხლებით, 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 135-ე–135^4, 146^1, 150^1–150^3, 151^1, 152^2 და 152^3 მუხლებით, 153^6 მუხლის პირველი, მე-3 და მე-4 ნაწილებით და 153^9, 158^3 და 158^4 მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებს ადგენს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს შესაბამისი სამსახური ან მის მიერ უფლებამოსილი პირი.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი **გიორგი მარგველაშვილი**

ქუთაისი,

21 სექტემბერი 2018 წ.

N3567-Iს